ევროკავშირი
საქართველოსთვის

With funding from
Austrian
Development
Cooperation

მდგრადი და მწვანე ბიზნეს პრაქტიკების განვითარება საქართველოში

პროექტის შესახებ ინფორმაცია

ქვეყანაში სათბური აირების ემისიების უდიდესი ნაწილი ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და სამშენებლო ინდუსტრიის სექტორებზე მოდის. კლიმატისა თუ სხვა გარემო პირობების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკებისა და რესურსების არამდგრადი გამოყენების გამო, სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 35% დეგრადაციასა და ნიადაგის სტრუქტურის დაზიანებას განიცდის. ქვეყანამ დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა გარემოსდაცვითი საკითხების მიმართულებით. 2021-2027 წლების სოფლის მეურნეობისა და აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიაში რესურსების მდგრადი მართვა, ეკოსისტემის დაცვა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია წარმოადგენს სტრატეგიულ მიზნებს. მიუხედავად ამისა, პროფესიული განათლების დახვეწისა და ასევე თანამედროვე მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროება კვლავ არსებობს, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მწვანე მიდგომების დეფიციტისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო, ხდება ბუნებრივი რესურსების ჭარბად მოხმარება და ნიადაგის ექსპლუატაცია. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021 – 2025 წლების სტრატეგიაც მწვანე უნარებისა და მდგრადი ბიზნესპრაქტიკების მნიშვნელობასა და პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაციის აუცილებლობას უსვამს ხაზს, ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის.

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ხანგრძლივობა:	**01.06.2024-30.11.2026** (30 თვე)
დონორი ორგანიზაციები:	**ევროკავშირი, ავსტრიის განვითარების სააგენტო**
კონტრაქტის მფლობელი:	**ვორლდ ვიჟენ ავსტრია**
განმახორციელებელი პარტნიორები:	**ვორლდ ვიჟენ საქართველო, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო**
სექტორები:	სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა, მცირე და საშუალო საწარმოთა (SMEs) მხარდაჭერა, პროფესიული განათლება და გადამზადება(VET), დარგობრივი უნარების ორგანიზაციები (SSOs).
გეოგრაფიული არეალი:	4 რეგიონი – იმერეთი, კახეთი, აჭარა (ბათუმი) და თბილისი
მიზანი:	ხელი შეუწყოს ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას საქართველოში

შესაბამისად, პროექტის მიზანია ქვეყნის ინკლუზიური და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა არსებული და მომავალი მცირე საწარმოებისთვის სოფლის მეურნეობაში, სამშენებლო სექტორსა და შერჩეულ ინდუსტრიებში, სუფთა და მდგრადი ენერგიის ბიზნეს პრაქტიკების დანერგვის შესაძლებლობების შექმნით.

აღნიშნულის მისაღწევად, აუცილებელია შემდეგი ამოცანების განხორციელება:

ამოცანა 1: უნარების გაუმჯობესება და მდგრადი ბიზნეს პრაქტიკების დანერგვა სოფლის მეურნეობის ექტორში მოქმედ და მომავალ მცირე და საშუალო საწარმოებში.

ამოცანა 2: უნარების გაუმჯობესება და ენერგოეფექტურობის პრაქტიკების დანერგვა სამშენებლო და მრეწველობის სხვა შერჩეულ დარგებში მოქმედ და მომავალ მცირე და საშუალო საწარმოებში.

ამოცანა 3: პროფესიული განათლების იმიჯის ფორმირება, ახალგაზრდებსა და სხვა შესაბამისი სამიზნე ჯგუფის ცნობიერების ამაღლება.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

EEC·ECC

World Vision
GEORGIA

ამ მიზნების მისაღწევად, პროექტი ითვალისწინებს პროფესიული კვალიფიკაციების განახლებას; ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას; პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SMEs), სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისთვის, მასწავლებლებისთვის, პრაქტიკული ინსტრუქტორებისთვის და მომავალი პროფესიონალებისთვის. აღნიშნული ხელს შეუწყობს ენერგოეფექტური და ეკოლოგიურად მდგარი ბიზნეს ოპერაციების დანერგვას.

ძირითადი აქტივობები:

სოფლის მეურნეობის სექტორი:

- მწვანე პროფესიული საგანათმანათლებლო პროგრამებისა და მოკლევადიანი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შემუშავება.
- მწვანე სასწავლო მოდულების შექმნა ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის, ნარჩენების შემცირებისა და სხვა მდგრადი პრაქტიკების შესახებ.
- ტრენერთა გადამზადების (ToT) სესიების ჩატარება და მათი საჭირო უნარებით აღჭურვა.
- მობილური აპლიკაციის შექმნა და ამუშავება, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო ვიდეოებს მწვანე სტანდარტების, მდგრადი ტექნოლოგიების, სოფლის მეურნეობისა და დარგის სხვა საკითხების შესახებ.

სამშენებლო სექტორი:

- ენერგოეფექტურობის, ენერგიის კონსერვაციისა და შენობებში ენერგომოხმარების შეფასების მიმართულებით ახალი საგანმანათლებლო სტანდარტებისა და სასწავლო მოდულების შემუშავება.
- ტრენერთა ტრენინგების (ToT) ორგანიზება ახალი პროფესიების შესახებ სამშენებლო და ენერგოეფექტურობის სექტორებში.
- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SME) განკუთვნილი სასწავლო მოდულების შემუშავება, ენერგოეფექტურობის, რესურსების მდგრადი გამოყენებისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიმართულებით.

მწვანე ბიზნეს პრაქტიკებისა და უნარების პოპულარიზება:

- საკომუნიკაციო მასალებისა და გზამკვლევების მომზადება კლიმატის ცვლილების, მწვანე ტექნოლოგიებისა და რესურსების მდგრადი მოხმარების შესახებ.
- ცნობიერების ასამაღლებელი სესიების ჩატარება მასწავლებლებისთვის, მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის (SMEs) და ახალგაზრდებისთვის მწვანე უნარებისა და მდგრადი პრაქტიკების შესახებ.
- გრანტების გაცემა 8 მცირე და საშუალო საწარმოსთვის, რომლებსაც ქალები და ახალგაზრდები მართავენ, რაც დაეხმარება მათ მწვანე პრაქტიკების დანერგვაში. შერჩეული მეწარმეები მიიღებენ მენტორულ მხარდაჭერას და გაივლიან ტრენინგებს საკუთარი ბიზნესის შეფასებისა და გაძლიერების მიმართულებით.
- პლატფორმის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მდგრადი კავშირების და პარტნიორობის ჩამოყალიბებას მშენებლობის, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში.

პროექტის მონაწილეები:

11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება ისარგებლებს განახლებული სტანდარტებითა და საგანმანათლებლო პროგრამებით, კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავებითა და სტუდენტების აქტიური ჩართვით როგორც ახალ საგანმანათლებლო, ასევე მომზადება/გადამზადების პროგრამებში. მათთვის ასევე ხელმისაწვდომი იქნება ონლაინ კურსები ვებგვერდზე **www.agroskills.ge**.

სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკისა და მშენებლობის მიმართულებით მოქმედი 3 დარგობრივი უნარების ორგანიზაცია (SSO) მიიღებს მხარდაჭერას მწვანე პროფესიების განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების პროცესში. პარალელურად, გაძლიერდება თანამშრომლობა სოციალურ საკითხთა საკონსულტაციო ჯგუფი (SAG), რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სტანდარტებისა და პროგრამების ერთობლივ და კოორდინირებულ განვითარებას.

200 მცირე და საშუალო საწარმო/სპეციალისტი ისარგებლებს მოკლევადიანი ფორმალური და არაფორმალური სასწავლო პროგრამებით, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების გაუმჯობესებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ქალებისა და ახალგაზრდების მიერ მართული საწარმოები მიიღებენ სპეციალურად შემუშავებულ შეფასების ფორმას, რომლის საშუალებითაც შეძლებენ თავიანთი საქმიანობისა და გარემოზე ზემოქმედების ანალიზს. მეწარმეები ასევე ისარგებლებენ ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც დაეხმარება მათ ბიზნესის გამწვანებასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებაში.

600 ახალგაზრდას (16-29 წლამდე) ჩაუტარდება ცნობიერების ამაღლების სესიები და კონსულტაციები მწვანე პროფესიების და მდგრადი ბიზნეს პრაქტიკების მიმართულებით.

250 მასწავლებელს ჩაუტარდებათ საინფორმაციო სესიები, სასწავლო პროგრამებში მწვანე მოდულებისა და მდგრადი უნარების ინტეგრაციის შესახებ.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია World Vision საქართველო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.